პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 მარტი, 1945 წ. № 44 (7259). ფასი 20 კაპ.

ომის მეოთხე წელს წითელი არმია უფრო მტკიცე და ძლიერი გახდა, ვიდრე ოდესმე იყო, მისი საბრძოლო ტექნიკა კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო საბრძოლო ოსტატობა ბევრად უფრო მაღალი გახდა.

ი. სტალინი

კოლმეურნეობებში შრომის მტკიცე დისციპლინისათვის

საქართველოს კოლმეურნეები დაუღალავად მუშაობენ და ყოველწლიურად ადიდებენ მოსავლიანობას. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის აპრილის დადგენილებით „კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ“. ამ დადგენილებამ საკოლმეურნეო სოფელში თვალსაჩინოდ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, უზრუნველჰყო საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულება. დადგენილება დაეხმარა კოლმეურნეობებს საფუძვლიანად გამოეყენებინათ მთელი თავიანთი შრომითი რეზერვები.

მაგრამ არიან კოლმეურნეობები, რომლებიც ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმას, აჭიანურებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების ვადებს, რაც ამცირებს მოსავლიანობას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში მივიწყებულია მტკიცე დისციპლინის დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლის საკითხები. ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეები, რომელნიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას, მთელი წლის განმავლობაში ძლივს გამოუვათ 20-30 შრომადღე, ასე ვთქვათ, „მოსაჩვენებლად“, კოლმეურნეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით კი სარგებლობენ.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები გარკვეულ სეზონთან არის დაკავშირებული. ვადებს და ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მოითხოვს არ გამოგვეპაროს რომელიმე სამუშაოს შესრულების საუკეთესო დრო. როცა დისციპლინა სუსტია, კოლმეურნეობა დროულად ვერ ართმევს თავს მუშაობას და ჩამორჩება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მიწათმოქმედების ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველჰყონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, მიაღწიონ იმას, რომ ყველა კოლმეურნემ გამოიმუშაოს სავალდებულო მინიმუმი წლის განმავლობაში დაწესებულ სამუშაოთა პერიოდების მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია, ითვალისწინებს შრომის რკინისებურ დისციპლინას კოლმეურნეობებში. ადგილობრივი ორგანიზაციების, ყველა კოლმეურნეობის ღირსების საქმეა განუხრელად განახორციელონ სტალინური წესდების ეს მოთხოვნა.

ფაქტები მოწმობენ, რომ ლანჩხუთის, საჩხერისა და აბაშის რაიონების კოლმეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის აპრილის დადგენილება.

ლანჩხუთის რაიონში 1944 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 16 პროცენტს, საჩხერის რაიონში — 28,8 პროცენტს, აბაშის რაიონში—28 პროცენტს. საჩხერის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ გამგეობამ 415 კოლმეურნიდან შრომისუნარმოკლებულთა კატეგორიას მიაკუთვნა 208 კაცი. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა აბაშის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

რა არის შრომის დისციპლინის ამ შესუსტების მიზეზი?

ხშირად ადგილობრივ არ ახორციელებენ ზომებს კოლმეურნეთა მიმართ იმ ღონისძიებებს, რასაც პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ითვალისწინებენ. კიდევ მეტი. ცალკეულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ხელს აფარებენ შრომის დეზერტირებს, გამგეობები არ ღებულობენ გადამწყვეტ ზომებს დისციპლინის დამრღვევთა და იმათ წინააღმდეგ, ვინც არ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით. სოფელ აბაშის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც გასული წლის მესამე პერიოდში 174 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 118 კაცს, გამგეობას არც ერთი კოლმეურნე არ მიუცია სასამართლო პასუხისგებაში.

ზოგან სახალხო სასამართლოები ფორმალურად ეკიდებიან იმ კოლმეურნეთა საქმეების გარჩევას, რომლებსაც არ გამოუმუშავებიათ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ლანჩხუთის უბნის სახალხო მოსამართლემ ა. ცინცაძემ შარშან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სამი პერიოდის მანძილზე მიღებული 166 საქმიდან დაგვიანებით განიხილა 56. აბაშის უბნის სახალხო მოსამართლემ ამხ. მ. გაბელაიამ შარშან გაარჩია 368 კოლმეურნის საქმე და ხელაღებით, მიზეზების შეუსწავლელად გაამართლა 261 კაცი.

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ლანჩხუთის, საჩხერისა და აბაშის რაიონებში კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის გადიდების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიაც დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ეს დადგენილება განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

კოლმეურნეობებმა 1945 წლის საწარმოო გეგმების შედგენისას უნდა უზრუნველჰყონ ბრიგადებისა და რგოლების სწორად დაკომპლექტება, რათა არავინ დარჩეს ბრიგადის გარეთ.

საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხი. ამ მხრივ დიდი მოვალეობა აკისრიათ საკოლმეურნეო სოფლის პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს. ისინი მოვალენი არიან საფუძვლიანად განუმარტონ კოლმეურნეებს კანონი შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შესახებ.

შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აღრიცხვის საუკეთესოდ დაყენება კოლმეურნეობებში. საჭიროა თვითეული კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეები წიგნაკებში ჩაიწეროს კვირაში ერთხელ მაინც და უწყისი გამოიკრას საყოველთაო ცნობისათვის.

გამგეობები ვალდებული არიან სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ის კოლმეურნეები, რომლებიც არ იმუშავებენ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით, ხოლო სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მოვალეობას შეადგენს ყოველმხრივ შეისწავლონ, დააჩქარონ იმ საქმეების გარჩევა, რაც დისციპლინის დარღვევასთან არის დაკავშირებული.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1945 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება მარცვლეული კულტურების მეთესლეობის გაუმჯობესების შესახებ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებენ ჩვენს სოფლის მეურნეობას. საქართველოს კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პარტიისა და მთავრობის დადგენილებას უპასუხებენ კონკრეტული საქმეებით.

სოფლის მეურნეობის მთავარი ამოცანა წელს არის მოსავლიანობის ამაღლება და მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდება. ეს გვავალებს საუკეთესოდ მოვემზადოთ და ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, განუხრელად განვახორციელოთ აგროწესები.

სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულების ინტერესები ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან მოითხოვს უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებში შრომის მტკიცე დისციპლინის დანერგვას, შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას.

განუხრელად განვახორციელოთ კანონი კოლმეურნეებისათვის შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის შესახებ!

შრომის რკინისებური დისციპლინის განმტკიცებით ვამრავლოთ საკოლმეურნეო სოფლის წარმატებანი!

მწყობრში ჩადგა კრივოროჟიეს კიდევ ერთი შახტი

კრივოროჟიეში მწყობრში ჩადგა კიროვის სახელობის შახტი — აუზის ერთ-ერთი უდიდესი შახტი. იგი ძლიერ დაანგრიეს გერმანელმა ოკუპანტებმა. შახტში შესრულებულია დიდი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, აგებულია ახალი ურნალი, სამანქანო და სხვა შახტზედა შენობები. კიროველებმა უკვე ამოიღეს პირველი რამდენიმე ათასი ტონა მადანი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 მარტის ოპერატიული ცნობა

2 მარტის განმავლობაში **კენიგსბერგის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, შეტევითი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს დასახლებული პუნქტები **როზენი**, **რენტენიუტერი**, **შენვალდე**, **შენაუ**, **მერტენსდორფი** და რკინიგზის სადგური **შენაუ**.

ბრესლაუში ბრძოლები გრძელდებოდა გარშემორტყმული მტრის დაჯგუფების მოსასპობად.

გრუძიონძის (გრაუდენცის) რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ გარშემორტყმული მტრის გარნიზონის მოსასპობად, რომელთა მსვლელობაშიც გერმანელებისაგან გასწმინდეს ქალაქის სამხრეთი ნახევარი ნაწილი.

პომერანიის ტერიტორიაზე, ქალაქ **ნოიშტეტინის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით, ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **გოლდოვკი**, **დუბერტეხი**, **კლინგბეკი**, **პერზანციხი**, **გისოლკი**, **იუხოვი**.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

1 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 62 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 39 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების მოსასპობად. მცირე ტერიტორიაზე შიმწყვდეული გერმანელთა დიდი ძალები გააფთრებით გვიწევენ წინააღმდეგობას. მოწინააღმდეგე არ ერიდება ზარალს და კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული ქვეითი ჯარის ნაწილები. დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა სხვადასხვა უბანზე სამოცზე მეტი კონტრიერიში მოიგერიეს. საბჭოთა ნაწილები ამსხვრევენ მოწინააღმდეგის თავდაცვას, გარს უვლიან მის დასაყრდენ პუნქტებს, შემდეგ კი სპობენ მტრის გარნიზონებს. N შენაერთის ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს ძლიერ გამაგრებული სოფელი შენვალდე. სხვა ჩვენმა ნაწილებმა გერმანელები განდევნეს დასახლებულ პუნქტ და რკინიგზის სადგურ შენაუდან. მოწინააღმდეგემ სამი ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით. მოსპობილია გერმანელთა 34 ტანკი, 45 საველე ქვემეხი, 7 ჯავშანტრანსპორტიორი და 200-მდე ტყვიამფრქვევი. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ტყვედ ჩავიგდეთ 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

პომერანიაში ქალაქ ნოიშტეტინის ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. N შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც მტრის წინააღმდეგობას სძლევენ, ბრძოლებით წაიწიეს წინ 10 კილომეტრით. დაკავებულია დასახლებული პუნქტი დუბერტეხი, რომელიც 28 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ კეზლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა უბანზე ჩვენი ტანკისტები და კავალერისტები გარს შემოერტყნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას და გაანადგურეს. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ 250 გერმანელი.

* * *

ბრესლაუში ჩვენი ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ ქალაქში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად. გერმანელებმა სახლები გამოიყენეს ირგვლივი თავდაცვისათვის, ხოლო ქუჩებსა და ეზოებში ათასობით ნაღმი ჩააწყვეს. საბჭოთა მესანგრეები, რომლებიც გზას უკაფავენ ქვეითს ჯარს, არა მარტო აუვნებლებენ ნაღმებს, არამედ მტრის წინააღმდეგობის კვანძებსაც აფეთქებენ. მესანგრეთა ჯგუფი მიუახლოვდა დიდ შენობას, რომელშიც გერმანელები გამაგრებულიყვნენ. ჩვენმა მებრძოლებმა ღრმა თხრილი გაიყვანეს და სახლი ააფეთქეს. ამ სახლში ჩასაფრებული ჰიტლერელები დაიღუპნენ შენობის ნანგრევებში. ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა, რომლებიც ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, გერმანელთაგან გაწმინდეს რამდენიმე ქუჩა, მოსპობილია 1,200 ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა, რომელშიც არის სამი ათასი ავიაბომბი და ბევრი საომარი მასალა. ჩვენს ქვეგანაყოფებს ტყვედ დანებდა ერთი ბაუეული ფოლკსშტურმი. მაღლა აწეული ხელებით ჯარისკაცები და მათი მეთაური მოვიდნენ საბჭოთა ჯარების განლაგებაში.

ერთ უბანზე უმცროსმა ლეიტენანტმა ლუკაშევსკიმ ხელთ იგდო გერმანელთა ზარბაზანი, რომლითაც სროლა აწარმოეს. საბჭოთა ოფიცერმა მოსპო სამი სატყვიამფრქვევო წერტი და გერმანელთა დიდი ჯგუფი. უმცროს ლეიტენანტ გარიპოვის ოცეულმა გააფთრებულ შეტაკებაში გაჟლიტა 60-ზე მეტი ჰიტლერელი. სერჟანტ მალიუგის მსროლელმა ოცეულმა დღის განმავლობაში მოიგერია მტრის რიცხობრივად ჭარბი ძალების სამი კონტრიერიში. ჰიტლერელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ამ ბრძოლაში სერჟანტმა მალიუგამ 15 გერმანელი ჯარისკაცი მოსპო.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა ციხე-ქალაქ პოზნანის კომენდანტმა გერმანელმა გენერალ-მაიორმა ერნსტ მეტერნმა განაცხადა: „ჰიტლერმა გვიბრძანა რადაც უნდა დამჯდარიყო შეგვენარჩუნებინა ციხე-ქალაქი პოზნანი. მე ორჯერ რადიოთი მოვახსენე არმიათა ჯგუფ „ვისლის“ სარდალ ჰიმლერს, რომ გარნიზონის მდგომარეობა უიმედო იყო. მან ორივე შემთხვევაში მიპასუხა, რომ ქალაქის დაცვა აუცილებელია, ყოველივე მსხვერპლის მიუხედავად. 22 თებერვალს ჩვენ შემდეგი რადიოგრამა გავგზავნეთ: „მტრის გაძლება შეუძლებელია. რუსების ბომბდამშენებს განუწყვეტლივ მოაქვთ იერიში ჩვენზე. მძიმე არტილერია, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები დღედაღამ უშენენ ჩვენს პოზიციებს. ჩვენ უდიდესი ზარალი მოგვდის. გთხოვთ უბრძანოთ გარნიზონს გამოიჭრას ქალაქიდან“. იმავე დღის საღამოს მოვიდა ჰიმლერის შემდეგი პასუხი: „გიბრძანებთ გამაგრდეთ რადაც უნდა დაჯდეს. ქალაქიდან გამოჭრა უაზროა. ამას მოწმობს შნაიდემიულის სავალალო გამოცდილება. შნაიდემიულის გარნიზონიც ცდილობდა გამოჭრას, მაგრამ მოსპობილ იქნა“.

ტყვედ წამოყვანილმა ციხე-ქალაქ პოზნანის კომენდატურის შტაბის უფროსმა პოლკოვნიკ ერვინ ღეტბარმა განაცხადა: „ჰიმლერის დეპეშის შემდეგ ჩვენ თათბირზე შევიკრიბეთ შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. ამ დროს მოირბინა მორიგე ოფიცერმა და განაცხადა რუსები ციტადელში შემოიჭრნენო, ჯარისკაცები და ბევრი ოფიცერი ჯგუფ-ჯგუფად ნებდებიან ტყვედო. აშკარა გახდა, რომ აღსასრული მოვიდა“.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის 2.250 თვითმფრინავის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 2 მარტი. (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1 მარტს დღისით ამერიკის 1.200-ზე მეტმა მძიმე ბომბდამშენმა დაბომბა გერმანიის სარკინიგზო ცენტრები ჰაილბრონი, ბრუხზალი, გეპინგენი, რაიტლინგენი, ნეკარსულმი, ულმი და აუგსბურგი. ამერიკის 600-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი თავს დაესხა მანჰაიმს და სინთეზური საწვავის ქარხანას დორტმუნდის ახლოს. ამერიკის ბომბდამშენები მოქმედებდნენ 450-ზე მეტი გამანადგურებლის თანხლებით.

ინგლისის ავიაციის სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 28 თებერვალს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავებმა დაბომბეს ბერლინი, ნიურნბერგი და მიუნხენი.

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა

ლონდონი, 2 მარტი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიის ფრონტებზე საომარი ოპერაციები მზვერავთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

გუშინ დღის განმავლობაში მოკავშირეთა 1.400 თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის ობიექტებზე ავსტრიაში, იუგოსლავიასა და ჩრდილოეთ იტალიაში.

დაიდო საფრანგეთ-ამერიკის შეთანხმებანი ლენდ-ლიზის საფუძველზე

პარიზი, 1 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ვაშინგტონში ხელმოწერილია საფრანგეთ-ამერიკის შეთანხმებანი ლენდ-ლიზის (იჯარით ან სესხად გადაცემის კანონის) საფუძველზე. შეთანხმებანი ხელმოწერილია ამერიკის მთავრობის სახელით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის ამსრულებელ გრიუს მიერ და საფრანგეთის მთავრობის სახელით — საფრანგეთის ელჩ ბონეს და საგანგებო დავალებათა კომისარ ჟან მონეს მიერ. შეთანხმებათა ხელმოწერას დაესწრნენ საფრანგეთისა და ამერიკის ექსპერტები.

ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ გრიუმ გამოაქვეყნა წერილობითი დეკლარაცია. „საფრანგეთ-ამერიკის სოლიდარობის ამ უკანასკნელი დადასტურების მნიშვნელობა, — განაცხადა მან, — არ შეიძლება გადაჭარბებულ იქნას. ჩვენს მტრებს არ შეუძლიათ ჯეროვნად არ შეაფასონ ამ შეთანხმებათა შედეგები“.

ჟან მონემ ამერიკულ პრესას გადასცა იგრეთვე წერილობითი განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ დღეს დადებულ შეთანხმებათა დახმარებით საფრანგეთს შეუძლია უფრო მეტი ჯარი, უფრო მეტი გემები აამოქმედოს ყველა ფრონტზე, გადაიქცეს ბაზად უფრო აქტიური ომისათვის.

რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა დოქტორ პეტრე გროზას

ბუქარესტი, 2 მარტი. (საკდესი). რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენა რუმინეთის მეფემ დაავალა ნაციონალ-დემოკრატიული ფრონტის უდიდესი ორგანიზაციის — გლეხთა კავშირის თავმჯდომარეს და წინანდელი კაბინეტის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს დოქტორ პეტრე გროზას. ამრიგად, გაჭიანურებული საკითხი ნამდვილად დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებისაგან რუმინეთის ახალი მთავრობის შედგენისა მალე საბოლოოდ გადაწყდება.

პეტენის, ლავალისა და სხვა ფრანგ გამცემთა ქონების სეკვესტრი

პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). როგორც პარიზის რადიო იუწყება, სენის დეპარტამენტის ტრიბუნალმა გადაწყვეტილება მიიღო მარშალ პეტენის, პიერ ლავალის, აგრეთვე ვიშის „მთავრობის“ ყოფილი სტატს-მდივნებისა და მინისტრების და ვიშის სხვა უმაღლესი თანამდებობის მოხელეთა კუთვნილი ქონების სეკვესტრის შესახებ.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით

1. პოლკოვნიკი სტეფანე არტემის-ძე **ბერუჩაშვილი**
2. მაიორი დანიელ ეფრემის-ძე **ქაჯაია**
3. წითელარმიელი კონსტანტინე ზაქარიას-ძე **ყანჩაველი**
4. უფროსი სერჟანტი ლეონ რომანის-ძე **კილაძე**

ალექსანდრე ნეველის ორდენით

1. კაპიტანი ვიქტორ ნიკოლოზის-ძე **კიკნაძე**
2. კაპიტანი შალვა ვიქტორის-ძე **დავითულიანი**
3. მაიორი ალექსანდრე ამბერკის-ძე **ხარატიშვილი**

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

1. უფროსი ლეიტენანტი დავით ვიქტორის-ძე **გუბელაძე**
2. ზემდეგი არტემ ივანეს-ძე **პეტაშვილი**
3. სერჟანტი გიორგი ვასილის-ძე **გორდაძე**
4. უფროსი სერჟანტი სილოვან ერასტის-ძე **ტყაბლაძე**
5. წითელარმიელი ვასილ რაჟდენის-ძე **ბლიაძე**
6. წითელარმიელი ვარლამ დავითის-ძე **გურგუჩიანი**

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

1. მაიორი შალვა ივანეს-ძე **ბიწაძე**
2. მაიორი არჩილ ლაზარეს-ძე **კოკილაშვილი**
3. იუსტიციის მაიორი ლუკა ივანეს-ძე **კალმახელიძე**
4. მაიორი ვიქტორ **მანჯგალაძე**
5. მაიორი გრიგოლ **სამთელაძე**
6. მაიორი სერგო ნოეს-ძე **ბარამიძე**
7. კაპიტანი კლიმენტი ძაკუს-ძე **როგავა**
8. კაპიტანი მიხეილ ზაქარიას-ძე **ალადაშვილი**
9. ლეიტენანტი იროდ ბექას-ძე **ახვლედიანი**
10. ლეიტენანტი არჩილ მიტროფანეს-ძე **დევიძე**
11. კაპიტანი აკაკი სიმონის-ძე **დაშნიანი**
12. ლეიტენანტი დავით ოქროპირის-ძე **გეწაძე**
13. ლეიტენანტი იპოლიტე ივანეს-ძე **გუგუა**
14. ლეიტენანტი გიორგი კონსტანტინეს-ძე **ზაქარიაძე**

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. ლეიტენანტი მიხეილ ანტიფორეს-ძე **ბარდაველიძე**
2. სერჟანტი ნიკოლოზ ლევანის-ძე **ბუთხუზი**
3. უფროსი სერჟანტი კარლო ვლადიმერის-ძე **დარჩია**
4. გვარდიის ლეიტენანტი შოთა იესეს-ძე **ქურიძე**
5. სერჟანტი ანტონ ისიდორეს-ძე **ნადირაძე**
6. უმცროსი სერჟანტი მიხეილ ივანეს-ძე **ხაჩიძე**
7. სერჟანტი აბესალომ ივანეს-ძე **ხუჭუა**
8. სერჟანტი იორამ ლევანის-ძე **წიგნაძე**

N ნაწილის მებრძოლები და მეთაურები— საქართველოს მშრომელებს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXIV წლისთავთან დაკავშირებით ოფიცერ დემიანენკოს საჯარისო ნაწილის ოფიცრებმა, სერჟანტებმა და მებრძოლებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჩარკვიანს და საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. სტურუას მიმართეს წერილით, რომელშიც ისინი საქართველოს მშრომელებს დღესასწაულს ულოცავენ.

ოცდაოთხი წლის წინათ,—ნათქვამია წერილში,—ამხანაგ **სტალინის** მიერ აღზრდილი საქართველოს რევოლუციური მუშები და გლეხები დიდი რუსი ხალხისა და მამაცი წითელი არმიის ძმური დახმარებით განთავისუფლდნენ საძულველი მენშევიკური უღლისაგან და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებმაც ხელში აიღეს თავიანთი ქვეყნის მმართველობა და გახდნენ მის ყველა სიმდიდრეთა ბატონ-პატრონი, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, გაიკვლიეს სოციალისტური მშენებლობის შესანიშნავი გზა და შექმნეს მოწინავე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

სოციალისტური მშენებლობის წლებში გამოიწრთო და უძლეველ ძალად გაიზარდა **ლენინისა** და **სტალინის** მიერ შექმნილი, ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილი ჩვენი გმირი წითელი არმია.

საზიზღარი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს საბჭოთა კავშირს, ცდილობდნენ ჩაეხრჩოთ მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო. ჰიტლერელი ავაზაკები ისწრაფოდნენ საბჭოთა საქართველოს ფარგლებშიც შემოჭრილიყვნენ, მაგრამ ჩვენმა მამაცმა წითელმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი **სტალინი**, მკერდით გადაუღობა გზა მტერს და სასტიკი დამარცხება აგემა მას. წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად მთელი საბჭოთა მიწა-წყალი ახლა გაწმენდილია ჰიტლერული სიბილწისაგან. საბჭოთა ჯარებმა ომი უკვე გადაიტანეს მტრის ტერიტორიაზე, სასიკვდილოდ დაჭრილ ფაშისტ მხეცს ავიწროებენ მის ბუნაგში და ძლევამოსილად მიიწევენ წინ ჰიტლერული გერმანიის დედაქალაქ ბერლინისაკენ.

ძმური საბჭოთა საქართველოს შესანიშნავ ისტორიულ თარიღს ჩვენი ნაწილის ოფიცრები, სერჟანტები და წითელარმიელები აღნიშნავენ ყველა საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრის—სისხლისმსმელი ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების პირობებში. საბრძოლო ძმურ თანამეგობრობაში, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ხელიხელჩაკიდებულნი ანადგურებენ და ჟლეტენ ფაშისტ დამპყრობლებს ქართველი ხალხის მამაცი შვილები.

ჩვენი ნაწილი ამაყობს ისეთი სახელოვანი ვაჟკაცებით, როგორიც არიან გ. ორჯონია, ვ. ყურაშვილი, ი. ჯოლოღუა, დ. შავიშვილი, ი. ფერიკაშვილი, ე. გოთუაძე, პ. ნაჭყებია. ისინი ღირსეულად ასრულებენ სარდლობის ყველა საბრძოლო დავალებას, მათი მამაცობა, გულადობა და ვაჟკაცობა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

სახელი და დიდება ქართველ ხალხს, რომელმაც აღზარდა თავისი სამშობლოს ასეთი შესანიშნავი მეომარი-პატრიოტები! სახელი და დიდება საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ეხმარებიან წითელ არმიას საძულველი მტრის განადგურებაში და რომლებიც აახლოებენ ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების დღეს!

მრისხანე იარაღით, რომელსაც ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად სჭედს ქართველი ხალხიც, ჩვენ შურს ვიძიებთ ჰიტლერელებზე მთელ მათ საშინელ ბოროტმოქმედებათათვის, რაც მათ საბჭოთა მიწა-წყალზე ჩაიდინეს, მთელი ტანჯვისა და უბედურებისათვის, რაც მათგან საბჭოთა ადამიანებმა განიცადეს. ასე ძლიერად ზღავენ ფაშისტი ბანდიტები ჩვენი დედებისა და დების, შვილებისა და მოხუცების დაღვრილი სისხლისათვის!

ჩვენ მივდივართ წინ მტკიცე რწმენით, რომ წითელი არმიის გმირი მეომრების თავდადებული ბრძოლა და ზურგის მშრომელთა დაუღალავი მუშაობა უზრუნველჰყოფს ჩვენს სრულ გამარჯვებას ვერაგ მტერზე, დაგვეხმარება სამუდამოდ ავიცილოთ პირისაგან მიწისა ფაშისტი ქვეწარმავალი.

წითელმა არმიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ჯერ კიდევ ცოტა სიძნელე როდი უნდა გადალახონ საბოლოო გამარჯვების გზაზე. ჩვენ ყველამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა საბოლოოდ მოვსპოთ მტერი. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ უკვე შორს აღარ არის ჩვენი დიადი ზეიმის დღე, როდესაც მამაცი წითელი არმია გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით საბოლოოდ გასრესს სისხლისმსმელ კაცთმოძულე ფაშიზმს და ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად გამარჯვების დროშას აავრიალებს ბერლინში.

ლენინის დროშით, **სტალინის** წინამძღოლობით ჩვენ ვიმარჯვებდით ყოველთვის, გავიმარჯვებთ ახლაც!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა ქვეყანას და ყველა საბჭოთა ხალხის ურყევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და ბელადს, გენიალურ სტრატეგსა და მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს**!

კრების დავალებით წერილს ხელს აწერენ: ნაწილის მეთაური პოდპოლკოვნიკი **დემიანენკო**, მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში მაიორი **პუზენკო**, ნაწილის პარტორგი კაპიტანი **ბოგომაზოვი**, ნაწილის კომორგი უფროსი სერჟანტი **სუხლოვი**, ზემდეგი **ეფიმენკო**.

ლვოვში ამუშავდა ტრამვაი

ლვოვში ამუშავდა ტრამვაი. ხაზზე გამოვიდა 25 ვაგონი სამი მარშრუტით, რომლებიც ქალაქის ცენტრს აკავშირებენ ვაგზალთან და გარეუბნებთან.

ლვოველმა ტრამვაელებმა დიდი მუშაობა გასწიეს გერმანელების მიერ დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. აღდგენილია ტრამვაის 110 ვაგონი და 70 კილომეტრზე მეტი ლიანდაგი. (საკდესი).

ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი ჰ. თხილაშვილი და აგროტექნიკოსი შ. ფუტკარაძე ამოწმებენ ჩაის ბუჩქის გასხვლის ხარისხს კოლმეურნეობის პლანტაციაში.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ყველა კოლმეურნეობა მოწინავე უნდა იყოს

(მცხეთა, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1945 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ მცხეთის რაიონის კოლმეურნეებმა ახალი საწარმოო აღმავლობით უპასუხეს.

წელს რაიონში დროულად შეუდგნენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. 25 თებერვლისათვის 672 ცენტნერის ნაცვლად კოლმეურნეობებს გამოყოფილი ჰქონდათ 726 ცენტნერი სათესლე სიმინდი, საკმაო რაოდენობით აქვთ მათ აგრეთვე ქერის, მზესუმზირის, კიტრის, პამიდორის, კომბოსტოს და სტაფილოს თესლი.

სერიოზული ყურადღება ექცევა საკოლმეურნეო ინვენტარის შეკეთებას. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოეწყო საკოლმეურნეო სამჭედლოები. საკოლმეურნეო სამჭედლოები ჩინებულად მუშაობენ სოფელ ძალისის ბაქრაძის, სოფელ ბიწმენდის 25 თებერვლის, მუხრანის მარქსის, ზემონიჩბისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. რაიონში შეკეთებულია 50 გუთანი, 7 კულტივატორი და 4 ტრიერი.

მცხეთის მტს-მა შეასრულა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა. მთავრდება მისაბმელი ინვენტარის რემონტი.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა [illegible]

[illegible] ფისა და ნაკელსაცავების მშენებლობის გეგმებიც.

დაიწყო საგაზაფხულო თესვა. 25 თებერვლისათვის რაიონში დათესილი იყო 168 ჰექტარი, აქედან 120 ჰექტარი ქერი.

გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები ხეხილის ბაღებსა და ვენახებში. კოლმეურნეობებმა მთლიანად გადაბარეს 157 ჰექტარი ვენახი, რიგებში გადაბარვა ჩაატარეს 92 ჰექტარზე და რიგთაშორის ხვნა—47 ჰექტარზე. ვენახებისათვის დამზადებულია 137.400 ახალი ჭიგო. 105 ჰექტარი ხეხილის ბაღი გადაბარულია მთლიანად, 136 ჰექტარზე ჩატარებულია რიგებში დაბარვა, ხოლო 147 ჰექტარი მოხნულია რიგთაშორის. ხეხილის ბაღებში გატანილია 1.210 ტონა ნაკელი, ხოლო ვენახებში—1.711 ტონა.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კარგად მოემზადნენ წეროვანის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი), ჩარდახის ჩარკვიანის სახელობის (თავმჯდომარე ა. აბაშიძე), ზემონიჩბისის სტალინის სახელობის (თავმჯდომარე გ. კეერცხიშვილი), ძალისის ბაქრაძის სახელობის (თავმჯდომარე პაპავაძე) კოლმეურნეობები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადებაში წარმატებებთან ერთად რაიონში არის ნაკლოვანებებიც. მცხეთის მტს-მა წელს გაზაფხულზე 1.680 ჰექტარი უნდა მოხნას, 20 თებერვლისათვის მას [illegible]

[illegible]

ვ. ლუკაშვილი

ხორგელთა პირობა

ხორგი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა მედალოსანი მ. ნადარაია, იკისრეს წელს შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაადიდონ მოსავლიანობა, ფრონტსა და ქვეყანას მისცენ მეტი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები. კოლმეურნეებმა დაამთავრეს საყანე მიწების გაწმენდა, შემოკავება, ითვისებენ 38 ჰექტარ ყანას, ახლად გაყვანილია 10 კილომეტრი წყალსაწრეტი თხრილი. წარმატებით მიმდინარეობს ადრეული ხვნა.

კოლმეურნეობაში მოწესრიგებულია შრომა, ბრიგადები და რგოლები დაკომპლექტებულია სწორად. საღამოობით კოლმეურნეობის კანტორაში იკრიბებიან ბრიგადირები და რგოლურები, აჯამებენ ჩატარებული მუშაობის შედეგებს, ილებენ ახალ დავალებებს.

კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში (ბრიგადირი მედალოსანი ვ. ნადარაია) ულევლივ ყველა გამოდის სამუშაოზე. ხვნა-თესვაზე იყენებენ ბრიგადის წევრების პირად საკუთრებაში არსებულ ფურ-კამეჩებსაც. მოხნული აქვთ 36 ჰექტარი. შარშან თითოეულ ჰექტარზე 16 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. წელს პირობას იძლევიან, რომ გაცილებით მეტს მიიყვანენ.

კოლმეურნეები თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან. ორი ფრონტელის მამამ 75 წლის იონა გაგულიამ უკვე გამოიმუშავა 30 შრომადღე, სამი ფრონტელის მამამ მედალოსანმა სანდრო ქარდავამ—35 შრომადღე, ფრონტელის მამამ იონა ნადარაიამ—65 შრომადღე.

სოფელ ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები პირობას იძლევიან, რომ წელს სიმინდის საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე აიყვანენ 25 ცენტნერამდე.

ზრ. ნანეიშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ბევრია მოწინავე ადამიანი. ისინი მეომრის თავდადებით მუშაობენ საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და ყოველდღიურად სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ.

მაგრამ ზოგიერთი საამქრო, ბრიგადა, ოსტატი და მუშა ფაბრიკის გეგმის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს. შრომის მოუწესრიგებლობის, მუშახელის დენადობის, საწარმოო-ტექნიკური სწავლების-ადმი ნაკლები ყურადღებისა და იმის გამო, რომ საწარმო ვერ უზრუნველყოფს ნედლეულით, გასულ წელს [illegible]

[illegible] გაუმჯობესებისათვის. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აგრეთვე აღნიშნეს საგიტაციო მუშაობის ნაკლოვანებანი და მკაცრად გააკრიტიკეს უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რასაც ფაბრიკის ზოგიერთი მუშაკი იჩენდა სახელმწიფო ქონებისადმი.

პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ლ. რუხაძემ.

პირველ საკითხზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივ[illegible]

[illegible]

[illegible] მუშათა დენადობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მუშათა ტექნიკური სწავლება ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, არ ზრუნავდნენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების [illegible] განხილულ საკითხებზე შეიმუშავა ვიიდო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ვ. ხატიაშვილი.

დეპეშები

რუზველტის სიტყვა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში

ვაშინგტონი, 1 მარტი. (ტასი). დღეს რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატის საერთო სხდომაზე მოხსენება გააკეთა ყირიმის კონფერენციის შესახებ.

„მე, — სთქვა რუზველტმა, — ყირიმის კონფერენციიდან ჩამოვედი მტკიცე რწმენით, რომ ჩვენ კარგად დავიწყეთ ჩვენი გზა საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ. კონფერენციას დასახული ჰქონდა ორი მთავარი მიზანი. ჯერ ერთი, მაქსიმალურად შესაძლო სიჩქარითა და მოკავშირე ქვეყნების ცოცხალი ძალის მინიმალური ზარალით მივაღწიოთ გერმანიის დამარცხებას. ეს ამოცანა ამჟამად დიდი ძალებით სრულდება. გერმანიის არმია და ხალხი გრძნობენ ჩვენი შეიარაღებული ძალებისა და მოკავშირეთა არმიების სულ უფრო და უფრო მზარდ სიმძლავრეს...

მეორე მიზანი ის არის, რომ განვაგრძოთ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველთა ჩაყრა, შეთანხმებისა, რომელიც ომის ქაოსის შემდეგ უზრუნველყოფს წესრიგსა და უშიშროებას და რომელიც ერთგვარ რწმენას მოგვცემს, რომ მთელი მსოფლიოს ქვეყნებში ხანგრძლივი [illegible]

[illegible]

ყირიმის კონფერენციაზე დადებული სამხედრო შეთანხმების თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა შეთანხმებას მტკიცე საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ.

რუზველტმა აღნიშნა, რომ ყირიმის კონფერენციაზე მოხერხდა განთავისუფლებული რაიონების საკითხთა ერთსულოვანი გადაწყვეტა.

„განთავისუფლებულ რაიონებში სამი ძირითადი მოკავშირის ერთობლივი მოქმედების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს, — განაგრძო რუზველტმა, — წარმოადგენს გადაწყვეტილება პოლონეთის შესახებ. პოლონეთის მთელი საკითხი ომისშემდგომი ევროპის შეშფოთების პოტენციალური წყარო იყო. და ჩვენ კონფერენციაზე მივედით მტკიცე გადაწყვეტილებით გვეპოვნა საერთო ნიადაგი ამ საკითხის გადასაწყვეტად. და ჩვენ ვიპოვეთ იგი... მე დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმება პოლონეთის შესახებ, არსებულ გარემოებაში, ყველაზე უკეთესი შესაძლო შეთანხმებაა თავისუფალი, დამოუკიდებელი და აყვავებული პოლონეთის სახელმწიფოსათვის".

„ყირიმის კონფერენცია, — აღნიშნა რუზ[illegible]

[illegible]

[illegible] დღეს. ნაცისტებმა ამჟამად გაიგეს ზოგიერთი მათგანი, თავისდა საუბედუროდ. ისინი უფრო მეტს გაიგებენ მათ შესახებ ხვალ, ზეგ და შემდეგ დღეებში. მათ სულისშემძვრელი საშუალება არ ექნებათ.

ჩვენ არ შევანელებთ ღონისძიებებს არც ერთი წამით, სანამ მტერი უსიტყვო კაპიტულაციას არ მოახდენს".

[illegible] ფერენციის შედეგებს, როგორც მსოფლიოს იმ მუდმივი სტრუქტურის დასაწყისს, რომლის ბაზაზეც ჩვენ შეგვიძლია, ღვთის კურთხევით, დავიწყოთ საუკეთესო მსოფლიოს აგება, რომელშიც ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა — თქვენმა და ჩემმა — ადამიანთა მთელი მოდგმის შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იცხოვრონ".

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 2 მარტი. (ტასი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას ქალაქ პრიუმის რაიონში და გააფართოვეს ხიდწინა სიმაგრეები მდინარე პრიუმზე, ქალაქის სამხრეთით. დაკავებულია მაღლობი, რომელიც დაახლოებით ექვს-ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს პრიუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ კერუენჰაიმში და დაიკავეს მიუნხენ-გლადბახი. დიურენის აღმოსავლეთით მოკავშირეებმა მდინარე ნეფელი გადალახეს, დაიკავეს ოთხი სოფელი და ვისერპაიმში შევიდნენ. მოკავშირეთა ჯარები, რომლებიც სამხრეთის მიმართულებით უტევენ მდინარე რეინის აღმოსავლეთ ნაპირზე, ნიდეგენის სამხრეთით, აგრეთვე მდინარე ერფტის აღმოსავლეთით, გერმანელთა ჯარების გაფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ.

მოკავშირეები ტრირში შევიდნენ და გადასჭრეს მთავარი გზატკეცილი დაახლოებით ორნახევარ კილომეტრზე ამ ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის ობიექტებს რაინის ორივე ნაპირზე კელნის მახლობლად, აგრეთვე კომუნიკაციების 8 ცენტრს, რომელთა უმეტესობა მდებარეობს რაინის დასავლეთით კელნის რაიონში.

ალექსანდერისა და ტიტოს მოლაპარაკება

ბელგრადი, 1 მარტი. (ტასი). ტანიუგის სააგენტომ კომუნიკე გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ ბელგრადში იყო სამხარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ფელდმარშალი ჰაროლდ ალექსანდერი და რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა მარშალ იოსიპ ბროზ-ტიტოსთან; კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკებას წმინდა სამხედრო ხასიათი ჰქონდა და შეეხებოდა ამ სამხედრო ასპარეზზე ომის ძლევამოსილად დამთავრებამდე მისი შემდგომი წარმოების საკითხებს.

საბჭოთა არტისტების დაჯილდოება იუგოსლავიის ორდენებით

ბელგრადი, 27 თებერვალი. (ტასი). იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა „ძმობისა და ერთობის" ორდენით დააჯილდოვა იუგოსლავიაში მყოფი საბჭოთა არტისტები ბარსოვა, მესერერი, კოზოლუპოვა, ობრაზცოვი და სხვები. 25 თებერვალს იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმში შესდგა ორდენების საზეიმო გადაცემა. ზეიმს დაესწრნენ ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დოქტორი რიბარი, პრეზიდიუმის მდივანი პრუნიჩიჩი, სსრ კავშირთან კულტურული თანამშრომლობის საზოგადოების თავმჯდომარე ჩოლაკოვიჩი და საბჭოთა სამხედრო მისიის უფროსი იუგოსლავიაში გენერალ-მაიორი კისელევი.

დაჯილდოებულებისათვის ორდენების გადაცემისას დოქტორი რიბარი გულთბილად მიესალმა საბჭოთა არტისტებს და ხაზი გაუსვა იმ დიდ მნიშვნელობას, რაც იუგოსლავიის ხალხებისათვის აქვს საბჭოთა ხელოვნების გაცნობას.

ბელგიის მთავრობას მიენიჭა განსაკუთრებული რწმუნებანი

ლონდონი, 1 მარტი. (ტასი). ბეთის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბელგიის დეპუტატთა პალატამ 84 ხმით 29-ის წინააღმდეგ მიიღო მთავრობისათვის მინიჭებულ განსაკუთრებულ რწმუნებათა გაფართოების კანონის პროექტი; 10 დეპუტატმა თავი შეიკავა. ეს კანონი ნებას აძლევს ბელგიის მთავრობას მოახდინოს საწარმოთა სამოქალაქო მობილიზაცია სამხედრო მიზნებისათვის, იკისროს ეკონომიური საქმიანობისა და მომარაგების ორგანოთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ჩაატაროს 18-დან 45 წლამდე ორივე სქესის პირთა აღწერა შრომითი ბეგრის მოსახდელად მობილიზაციის მიზნით. მომავალ კვირაში პროექტი სენატს გადაეცემა.

ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის წინასაარჩევნო კრების ჩაშლის ცდები

ჰელსინკი, 28 თებერვალი. (ტასი). როგორც გაზეთი „ვაპაა სანა" იუწყება, 25 თებერვალს იოენსუში დანიშნული იყო ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის წინასაარჩევნო კრება. კრებაზე უნდა გამოსულიყო საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" თავმჯდომარე ფინანსთა მინისტრი ჰელო. ქალაქში კრებისათვის შენობის შოვნა არ მოხერხდა. არც ქალაქის გამგეობამ დაუთმო თავისი შენობა. ამიტომ კრება გი[illegible] მღვდელმთავრობის არანორმალურობა, კავშირისა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი მომხრე ჰყავს, ვერ მიუღია მისთვის საჭირო შენობა ვერც კრების გასამართავად, ვერც გაზეთების გამოსაცემად.

იმავე ნომერში გაზეთი „ვაპაა სანა" სწერს, რომ, სხვადასხვა პუნქტიდან მიღებული ცნობებით, პროფაშისტური ელემენტები გლეჯენ ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის პლაკატებსა და განცხადებებს. დაბა ნუმელა[illegible]

[illegible] დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე და ამ პარტიის კანდიდატია სეიმის არჩევნებში, ვეიკო ჰელეს დანაშაულზე წაასწრეს სწორედ მაშინ, როცა იგი პლაკატს გლეჯდა.

[illegible] წინა დღეს პრემიერ-მინისტრ პაასიკივის მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა შენობა დაეთმოს არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკურ დაჯგუფებასო. ჰელომ აღნიშნა ფინეთის ხალხის დემოკრატიული კავშირის [illegible]

სამხედრო მეცადინეობა თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლის მერვე კლასში
ფოტო რ. აკოფოვისა

მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების სესიებზე

სტალინის რაიონი

მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს XX სესიამ მოისმინა კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის ვ. ლელიძის მოხსენება მწვანე ნარგავების მოვლის გაუმჯობესებისა და 1945 წელს გამწვანების ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სტალინის რაიონში 1944 წელს დარგულია 9.205 ძირი ხე და ბუჩქოვანი მცენარე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნარგავების მოვლას და დაცვას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატმა კილურაძემ, განათლების განყოფილების გამგემ ი. ფერაძემ, საბინაო სამმართველოს უფროსმა ტონიამ, ჩაიდის ფაბრიკის დირექტორმა გიგაურმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჩომახიძემ და სხვ.

სესიამ დასახა ღონისძიებანი განხილულ საკითხზე.

ორჯონიკიძის რაიონი

შესდგა მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს XX სესია, რომელმაც განიხილა რაიონში მწვანე ნარგავების მოვლის საკითხი. მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს კომუნალური განყოფილების გამგემ ამხ. ბ. მეფარიშვილმა.

მომხსენებელი შეეხო სამამულო ომის პერიოდში გამწვანების ხაზით რაიონში გაწეულ მუშაობას და განსაკუთრებით 1944 წლის პერიოდს, როცა დაირგო 24.861 ძირი ხე და ბუჩქოვანი მცენარე. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მწვანე ნარგავთა მოვლადაცვაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ და სესიას გააცნო გამწვანების 1945 წლის გეგმა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: დეპუტატებმა გ. კალანდაძემ, ფხაკაძემ, საჯაიამ, ხოფერიამ, ქაჯაიამ, გოგოლაშვილმა, სილაძემ, ბახტაძემ და ტომაევამ.

სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

კიროვის რაიონი

[illegible]

რაქდეზ მეეგების ახალი ნიმუში განსალბა [illegible]

[illegible]

მოხსენებები

[illegible]

ლექცია

[illegible] ყოფს პროფესორი ს. ვ. [illegible] ლექციას (რუსულ ენაზე) თემაზე: „დიდი გადატრიალება, რომელიც მოახდინა დარვინმა მეცნიერებაში". შესვლა თავისუფალია.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—3/III — „ჯამბაზები" და „ყივჩაღთა ბანაკი", 4/III — დღისით — „ტრავიატა", საღამოს—„აბესალომ და ეთერი". რუსთაველის სახელობის—3/III—„ხევისბერი გოჩა", 4/III—დღისით და საღამოს —„ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". მარჯანიშვილის სახელობის—3/III—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", 4/III—დღისით—„ბაგრატიონი", საღამოს—„პირველი ცოლის მორჯულება". მუსიკალური კომედიის — 3/III — „მსახიობის სიყვარული", 4/III—დღისით — „მზის დაბნელება", საღამოს—„კოლომბინა". სანკულტურის—3/III— „გაგრძელება იქნება", 4/III—„სტუმარ-მასპინძლობა".

კინოებში

3 მარტს: ოქტომბერი — „ოთხთა გული". დამკვრელი—„ივანე მრისხანე". კომკავშირელი—„ჯორჯი დინკი ჯაზიდან". სპარტაკი — „მუსიკალური ისტორია". ლუქსემბურგის სახელობის—„პაბუკი ჩვენი ქალაქიდან". 26 კომისრის სახელობის—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მოქალაქე ალექსი ზაქარიას-ძე უსეინიშვილმა მცხოვრებმა ნახშირის ჩიხი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თამარ პავლეს-ასულ კერესელიძესთან განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოში.

მეუღლე ეკატერინე, შვილები გიორგი, არჩილ, ილია, ქეთევან, ელენე, რძლები ევგენია, ნინო, სიძეები ე. სადოვსკი, ვ. ჰუმბურიძე იუწყებიან მიხეილ ჯავაშვილის გარდაცვალებას.

მეუღლე მაკრინე, შვილები ლევთერი, ანტისა, რძალი გალინა, შვილიშვილები ოფელია, ლეილა, გურამ, ნაზი, ნათელა, არმონი იუწყებიან ქიშვარდი სიკოს-ძე ლომიას გარდაცვალებას.

მეუღლე ვერა, და იულია ასათიანი, დისწულები დ. ჩიქოვანი, ქ. ჰუონია ცოლშვილით იუწყებიან ყარამან ფალავას გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/III, 6 ს. გამოსვენება 4/III, 12 ს. კალინინის, 120.

ბებია ნუცა კვაჭაძე შვილებით: ირაკლი, ვარა, ნინო, სიძით ალექსანდრე ჯავაშვილით, შვილიშვილით გულნარათი იუწყება ილია ნიკოლოზის-ძე კვაჭაძის გარდაცვალებას.

ექიმი სუსანა კუჭაიძე მეუღლით აბესალომით, შვილებით ნინუცით და ნოდარით იუწყება დედის ნინო კონსტანტინეს-ასულ ბერინოვას გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/III, 6½ ს. გამოსვენება 4/III, 2 ს. ნიკოლაძის, 12.

მშობლები ელენე, ვეტიხი, დები ქენია, ნონა, დეიდა ვარია იუწყებიან ილია ჩხიკვიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/III, 5 ს. მალაკნის, 25.

ქალთა მე-5 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან მასწავლებელ ანა ხუბუას დედის კესარიას გარდაცვალებას.

ხანა, ხაიმი, ვერა, ანა, ტონია, მერი, დანიელ, სიმონ, გუგული, ლული შათაშვილები იუწყებიან, რომ 4/III, 2 ს. ორთაჭალის სასაფლაოზე დანიშნულია სამსონ შათაშვილის პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის —3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 ეე 00048